ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ 2022 წლის ნახევარწლიური ანგარიში

TRC GCSD

ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ 2022 წლის ნახევარწლიური ანგარიში

2022

ტერორიზმის კვლევითი ცენტრის შესახებ

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC), საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ბაზაზე, 2018 წელს შეიქმნა. TRC საკუთარ მისიად, საქართველოში ტერორიზმისა და მისი მომიჯნავე თემების შესახებ მაღალი ხარისხის ცოდნის შექმნას, დაგროვებასა და გავრცელებას მოიაზრებს. ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ თემების შემსწავლელ თეორეტიკოსებს და შესაბამის პრაქტიკოსებს, რათა ქვეყანაში ტერორიზმის და მისი მომიჯნავე მიმართულებებით განხორციელებული პოლიტიკა სამეცნიერო მტკიცებულებებსა და სიღრმისეულ ანალიზზე იყოს დამყარებული. ჩვენი სურვილია, წავახალისოთ და განვითარების საშუალება მივცეთ ხსენებული თემებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: http://trc.gcsd.org.ge/

ანგარიშის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის შესახებ 2022 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო მედია პლატფორმებზე გავრცელებული ინფორმაციის შემაჯამებელ ანგარიშს. ანგარიში მეტწილად ტერორიზმის კვლევის ცენტრის მიერ ზემოთხსენებულ პერიოდში მომზადებულ ახალი ამბების ყოველკვირეულ მიმოხილვას ეყრდნობა. აღნიშნული მიმოხილვები თავის მხრივ ინფორმაციას ისეთი მედია საშუალებების დახმარებით იღებს, როგორებიცაა: Deutsche Welle, BBC, CNN, The Washington Post, Al Jazeera, Independent, France24, Reuters და სხვა. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე ანგარიში ძირითადად მედია საშუალებების დახმარებით გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა, ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ კონკრეტული პერიოდისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს ასახავს.

დოკუმენტის ციტირების წესი

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (2022). ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის შესახებ 2022 წლის ნახევარწლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://www.gcsd.org.ge/ge/publications/show/101

სარჩევი

აბრევიატურები 4

ძირითადი მიგნებები 5

პოლიტიკური კონფლიქტების გავლენა ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმზე 2022 წლის პირველ ნახევარში 8

საჰელის რეგიონში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების რეკრუტირება ტერორისტულ ორგანიზაციებში, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების და მათი ოჯახების რეპატრიაცია სირიიდან 10

ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფი (FATF) ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსირების შესახებ 12

კიბერტერორიზმის მზარდი საფრთხეების 2022 წელს 14

ევროკავშირის სამშვიდობო და კონტრტერორისტული ოპერაციების ფინანსირების წესის ცვლილება აფრიკაში 15

დაეშის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის 2022 წლის მინესტერიალი 16

დასკვნა 20

აბრევიატურები

დაეში - ერაყის და ლევანტის ისლამური სახელმწიფო

AUSTRAC - ავსტრალიის ფინანსურ ოპერაციათა ანალიტიკური ცენტრი

AQIM - ალ-ქაიდა ისლამურ მაღრებში

EU - ევროკავშირი

FATF - ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი

IEP - ეკონომიკის და მშვიდობის ინსტიტუტი

ISWAP - დაეშის დასავლეთ აფრიკის პროვინცია / დაეში დასავლეთ აფრიკაში

MENA - ახლო-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა

ძირითადი მიგნებები

■ მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 15 ივნისის ჩათვლით მაღალი ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული აქტივობით გამოირჩეოდნენ **აზიის, ახლო-აღმოსავლეთის** და **საჰელის** რეგიონები.

■ მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 10 ივნისამდე საჰელის რეგიონი 60-ზე მეტჯერ მოექცე საერთაშორისო მედიის ყურადღების ქვეშ.

■ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური და შეიარაღებული კონფლიქტები არ ფიქსირდება, ტერორისტული თავდასხმის სიკვდილიანობის დონე 6-ჯერ დაბალია იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც მსგავს კრიზისებს ადგილი აქვთ.

■ ტერორისტული თავდასხმების 80% კონფლიქტის ზონიდან 50 კმ რადიუსის დაშორებით ხდება.

■ მიმდინარე წლის 5 იანვრიდან 15 ივნისის ჩათვლით საერთაშორისო მედიაში აღრიცხულმა ტერორიზმის შედეგად დაღუპულ ადამიანთან რიცხვმა 750-ს გადააჭარბა.

■ მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 10 ივნისის ჩათვლით აზიის ქვეყნებში 180-ზე მეტი ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინცინდენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის საშუალოწლიურ მონაცემთან შედარებით 22%-ით დაბალია.

■ მიმდინარე წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომის გამო, საერთაშორისო მედიის ყურადღება უმეტესწილად უკრაინაში არსებულ სიტუაციაზე გადაირთო. მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 15 ივნისის ჩათვლით საერთაშორისო მედიაში დაფიქსირდა 1 ტერორისტული თავდასხმა უკრაინის ტერიტორიაზე - 27 იანვარს უკრაინელმა ჯარისკაცმა ცეცხლი გაუხსნა თავის თანამებრძოლებს დნიპროს სამხედრო ქარხანაში. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 4 ჯარისკაცი, 1 მუშა. დაშავებულია 5 ადამიანი.

■ 2025 წლისთვის კიბერტერორიზმისგან მიყენებული ზიანის სავარაუდო წლიური მოცულობის გაზრდას 10.5 ტრილიონამდე ვარაუდობენ.

■ პოლიტიკურ კონფლიქტებში მონაწილეობა რიგ შემთხვევებში კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ტერორისტული ორგანიზაციების სტატუსს, რომლებიც ისწრაფვიან მეამბოხე ჯგუფების სტატუსის მიღებისკენ, რაც ზრდის მათ „სიცოცხლის ხანგრძლივობას“.

ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი აზიაში, ახლო-აღმოსავლეთსა და საჰელში

ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებით მომხდარი ინცინდენტების თვალსაზრისით, 2022 წლის პირველი ნახევარი განსაკუთრებით ინტენსიური აღმოჩნდა აზიის, ახლო აღმოსავლეთის და საჰელის რეგიონებისთვის.

2022 წლის პირველ ნახევარში ტერორისტული თავდასხმების ყველაზე მაღალი რაოდენობა აზიაში ფიქსირდება. მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 10 ივნისის ჩათვლით აღნიშნულ რეგიონში 180-ზე მეტი ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ინცინდენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის საშუალოწლიურ მონაცემთან შედარებით 22%-ით დაბალია (იხ. ფიგურა 1).[1]

ფიგურა 1. მედიაში აღრიცხული სისხლის სამართლის დანაშაული აზიაში, 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 10 ივნისის ჩათვლით. წყარო: SATP



აღნიშნულ რეგიონში 1-ლი იანვრიდან 29 მაისამდე განხორციელებული ყველა ტერორისტული თავდასხმას 101 ადამიანი ემსხვერპლა (იხ. ფიგურა 2).[2]

ფიგურა 2. 1-ლი იანვრიდან 29 მაისამდე ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაღუპული პირები. წყარო: SATP



ამასთანავე, 25 მაისამდე აღრიცხვული მონაცემებით 11 დიდი ინცინდენტის შედეგად ჯამურად 36 ადამიანი დაიღუპა.[3] 2022 წლის 1

[1] South Asia Terrorism Portal (SATP) (2022). The Database. ხელმისაწვდომია: https://www.satp.org/
[2] ibid.
[3] ibid.

იანვრიდან 27 მაისამდე სამხრეთ აზიის რეგიონში სამართალდამცავმა ორგანოებმა 80 იარაღის სასაწყობე ფართი აღმოაჩინეს. ამასთანავე, სამხრეთ-აზიაში ტერორიზმთან დაკავშირებულ ბრალდებების კუთხით 67 აღძრული საქმის შედეგად დაკავებულია 145 ადამიანი. [4]

არანაკლებ მნიშვნელოვანია აფრიკის კონტინენტზე ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით არსებული ვითარება. დიდი საჰარის, საჰელის და აფრიკის დარჩენილი რეგიონებში არსებული მდგომარეობა ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის კუთხით მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 10 ივნისამდე 60-ზე მეტჯერ მოექცე საერთაშორისო მედიის ყურადღების ქვეშ.[5]

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის 5 იანვრიდან 15 ივნისის ჩათვლით საერთაშორისო მედიაში ტერორიზმის შედეგად დაღუპულ ადამიანთან რიცხვმა 740-ს გაუსწრო. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული ინცინდენტების ძირითადი სამიზნეები სამოქალაქო პირები არიან, არაბული კოალიციის მიერ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 10 ივნისამდე ლიკვიდირებული ჰუსიტების რაოდენობა 280-ზე მეტია.[6]

საგულისხმოა, რომ მიმდინარე წლის 24 იანვარს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომის გამო, საერთაშორისო მედიის ყურადღება უმეტესწილად უკრაინაში მიმდინარე სიტუაციაზე გადაერთო.

მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 15 ივნისის ჩათვლით საერთაშორისო მედიაში დაფიქსირდა 1 ტერორისტული თავდასხმა უკრაინის ტერიტორიაზე. 27 იანვარს უკრაინელმა ჯარისკაცმა ცეცხლი გაუხსნა თავის თანამებრძოლებს დნიპროს სამხედრო ქარხანაში. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 4 ჯარისკაცი, 1 მუშა. თავდასხმის შედეგად დაშავდა 5 ადამიანი.[7]

---

[4] ibid.

[5] ტერორიზმის კვლევით ცენტრი (2022). *ყოველკვირეული დაიჯესტი* (1-ლი იანვარი - 10 ივნისი). ხელმისაწვდომია: http://trc.gcsd.org.ge/

[6] ibid.

[7] CNN (2022). *Ukrainian soldier kills 5 in shooting rampage at military factory.* ხელმისაწვდომია: https://edition.cnn.com/2022/01/27/europe/ukraine-shooting-factory-intl/index.html

პოლიტიკური კონფლიქტების გავლენა ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმზე 2022 წლის პირველ ნახევარში

მიუხედავად მიმდინარე წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომის მიმდინარეობისას საერთაშორისო მედიაში დაფიქსირებული ერთი ძალადობრივი ექსტრემისტული თავდასხმისა, საგულისხმოა, რომ ტერორისტული თავდასხმების შედეგად დაღუპულ ადამიანთა რიცხვი საგრძნობლად მაღალია ქვეყნებში, სადაც სახეზეა შეიარაღებული კონფლიქტები ან გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა (იხ. ფიგურა 3).

ფიგურა 3. ტერორისტული თავდასხმების სიკვდილიანობა კონფლიქტის ზონებში. წყარო: IEP



ეკონომიკის და მშვიდობის ინსტიტუტის განმარტებით, ქვეყნები, რომლებშიც პოლიტიკური და შეიარაღებული კონფლიქტები არ ფიქსირდება სიკვდილიანობის დონე 6-ჯერ დაბალია იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც მსგავს კრიზისებს ადგილი აქვთ.

კონფლიქტს და ტერორიზმს შორის კორელაციაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 2022 წელს ტერორიზმით ყველაზე მეტად დაზარალებულ 10 სახელმწიფოს შორის, ყველა სახელმწიფოში ფიქსირდება პოლიტიკური კონფლიქტები. ამასთანავე, 2021 წელს ავღანეთში, ნიგერიასა და სირიაში (თითოეულში) კონფლიქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 1000-ს გადააჭარბა.

ფიგურა 4.ტერორიზმის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა კონფლიქტურ ზონებში. წყარო: IEP



ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ 2007 წლის შემდეგ კონფლიქტურ ზონებში ტერორიზმის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 2022 წლის 15 ივნისის მონაცემით 97.6%-მდეა გაზრდილი (იხ. ფიგურა 4).

საინტერესოა, რომ Dragonfly-ის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით ტერორისტული

თავდასხმების 80% კონფლიქტის ზონიდან 50კმ რადიუსის დაშორებით ხდება (იხ. ფიგურა 5).

ფიგურა 5. ტერორისტული თავდასხმების პროცენტული მაჩვენებელი და კონფლიქტის კერიდან დაშორება (კმ). წყარო: Dragonfly



ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკურ კონფლიქტებში მონაწილეობა ზოგჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ტერორისტული ორგანიზაციების სტატუსს, რომლებიც ისწრაფვიან მეამბოხე ჯგუფების სტატუსის მიღებისკენ, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მაღალი „სიცოცხლის ხანგრძლივობით“ გამოირჩევა (იხ. ფიგურა 6).

ფიგურა 6. მეამბოხე ჯგუფების და ტერორისტული ორგანიზაციების აქტივობის დონე (სიცოცხლის ხანგრძლივობა) წლების განმავლობაში. წყარო: IEP



საჰელის რეგიონში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების რეკრუტირება ტერორისტულ ორგანიზაციებში, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების და მათი ოჯახების რეპატრიაცია სირიიდან

პანდემიის გავლენა ჯერ კიდევ იგრძნობა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მოწყვლადი ჯგუფების რადიკალიზაციის და რეკრუტირების სტრატეგიებზე. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ტერორისტულ ორგანიზაციებში რეკრუტირების თვალსაზრისით მაღალი დინამიკის რეგიონს ახლო-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა წარმოადგენდნენ.

ისეთი ორგანიზაციები, როგორებიც არიან ნუსრათ ალ-ისლამი (ან ჯამაათ ნასრ ალ ისლამ ვალ მუსლიმინი) აქტიურად ახორციელებს მალის ცენტრალური და აღმოსავლეთ რეგიონებიდან მოწყვლადი ჯგუფების რეკრუტირებას. საგულისხმოა, რომ მალიში, 2021 წლის 24 მაისს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სიტუაცია არასტაბილურია, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ ტერორისტულ ორგანიზაციების ოპერირებას რეკრუტირების მიმართულებით. საჰელის რეგიონიდან მოსახლეობის ტერორისტულ ორგანიზაციებში რეკრუტირების კუთხით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ალ-კაიდას აფრიკული ფრთა - ალ-კაიდა ისლამურ მაღრებში (AQIM), რომელიც მიუხედავად მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 10 ივნისამდე არც ერთი განხორციელებული ტერორისტული თავდასხმისა, აქტიურად უწყობს ხელს ადგილობრივი მოწყვლადი ჯგუფების ცენტრალურ ალ-კაიდაში გაწევრიანებაში.

ამასთანავე, ბურკინა-ფასოში 2019-2021 წლებში დაფიქსირებული ადამიანის უფლებათა დარღვევები დღემდე გავლენას ახდენს ადამიანების რეკრუტირებაზე ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებში როგორებიც არიან დაეში დიდ საჰარაში, ანსარ ულ-ისლამი და ნუსრა ალ-ისლამი.

ჩადის ტბის რეგიონში რეკრუტირების თვალსაზრისით აქტიურ ტერორისტულ ორგანიზაციებს დაეშის დასავლეთ აფრიკის პროვინცია და ბოკო-ჰარამი წარმოადგენენ. აღნიშნული ჯგუფებში ადგილობრივი მოსახლეობის გაწევრიანება ძირითადად რეგიონში არსებული ეთნიკური და ტომობრივი კონფლიქტებით არის განპირობებული. გარდა ამისა, საგულისხმოა უმუშევრობის კუთხით არსებული მძიმე სიტუაციაც, რაც რიგი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ახალგაზრდების რეკრუტირებისთვის ეფექტურად გამოიყენება.

ეკონომიკის და მშვიდობის ინსტიტუტის მონაცემებით, ბოკო-ჰარამი ნიგერიის მაცხოვრებლებს ტერორისტულ ორგანიზაციაში მებრძოლის პოზიციაზე გაწევრიანების სანაცვლოდ შეთავაზებული ანაზღაურება ბევრად მაღალია ქვეყანაში საშუალო სტატისტიკურ შემოსავალზე. (იხ. ფიგურა 3).

ფიგურა 3. განსხვავება საშუალო ანაზღაურებაში. წყარო: IEP



საინტერესოა, რომ ექსპერტები საჰელის რეგიონში ეკოლოგიურ პრობლემებზე მიუთითებენ. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ საჰელის რეგიონში წყალზე წვდომის პრობლემა (რაც ნაწილობრივ განპირობებულია წყლის სტრატეგიულ ობიექტების ტერორისტული ორგანიზაციების მიერ დაკავებით) წარმოადგენს რადიკალიზაციის და ტერორისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს.[8]

უცხოელი ტერორისტი მებრძოლების და მათი ოჯახების ახლო-აღმოსავლეთიდან რეპატრიაციის საკითხი კვლავ აქტუალური რჩება საერთაშორისო საზოგადიებსითვის. საგულისხმოა, რომ მიმდინარე წელს რეპატრიაციის პროცესში აქტიურად ჩართულ ორ ჩართულ ორ მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენდნენ ერაყი, რომელმაც 2022 წლის 11 იანვარს სირიის ალ-ჯადაას ბანაკიდან 111 ოჯახის რეპატრიაცია განახორციელა[9] და გერმანია, რომელმაც 31 მარტს ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში არსებული ალ-როჯის ბანაკიდან 27 ბავშვის და 10 ქალის რეპატრიაცია მოახდინა.[10]

[8] IEP (2022). Global Terrorism Index. ხელმისაწვდომია: https://reliefweb.int/report/world/global-terrorism-index-2022

[9] Arabnews (2022). Iraq takes back 111 Daesh-linked families from Syria. ხელმისაწვდომია: https://www.arabnews.com/node/2001931/middle-east

[10] APNews (2022). Germany repatriates women, children from Syrian camp. ხელმისაწვდომია: https://apnews.com/article/islamic-state-group-europe-middle-east-syria-germany-765cd0ea31379599b43048b3bb8edd69

ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფი (FATF) ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსირების შესახებ

მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 15 ივნისამდე ფინანსური ქმედებების სპეციალურმა ჯგუფმა (FATF) ისლამისტური და ულტრამემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის ფინანსირების თვალსაზრისით პოპულარული წყაროები დაასახელა.

შემოწირულობის პლატფორმების გამოყენება ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების მიერ 2022 წელს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ე.წ დონაციების სისტემა, რომელიც Crowdfunding-ის პრინციპებზე მუშაობდა, რაც ადამიანების დიდი რაოდენობის მიერ ინტერნეტ-პლატფორმების გამოყენებით მცირე ფინანსური შემოწირულობის გაკეთებას გულისხმობს. ამასთანავე, 2015 წლიდან ფინანსურ ქმედებათა სპეციალურმა ჯგუფმა Crowdfunding-ის პრინციპებზე აგებული დონაციების სისტემები ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსირების პოტენციურ ხელსაწყოებში შეიტანა.[11]

ავსტრალიის ფინანსურ ტრანზაქციათა ანალიტიკური ცენტრის მიერ მიმდინარე წლის 14 აპრილს გაკეთდა სამართლებრივი მითითება Bichute-ის პლატფორმაზე, სადაც AUSTRAC-ზე დაყრდნობით სავარაუდოა ულტრამემარჯვენე მოძრაობა QAnon-ის ფინანსირება ხორციელდებოდეს.[12]

ფინანსურ ქმედებათა სპეციალურმა ჯგუფი ხაზს უსვამს კრიპტოვალუტის გამოყენებას ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციების დაფინანსების მიზნით. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის წლიური ანგარიშის მიხედვით „სკანდინავიური ძალა (Nordic Styrke)" კრიპტოვალუტაში ფინანსების შეგროვებას ე.წ PROTOMAIL-ის დახმარებით ახორციელებდა. ამასთანავე, ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აქტიურად გამოიყენებოდა ე.წ წევრობის მოსაკრებელის შეგროვება. აღნიშნული მეთოდებით გამოირჩეოდა ნაციონალისტურ-სოციალისტური ფრონტი (სოციალურ-დემოკრატიული ალიანსი) შვედეთში.[13]

არანაკლებ მნიშვნელოვანია რიგი ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ე.წ მერჩენდაიზის გაყიდვა. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის განმარტებით საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია ატომვაფენის დივიზია (ეროვნული სოციალისტური ორდენი) ე.წ Dark Foreigner-ის მერჩენდაიზს ყიდდა (იხ. ფიგურა 4).

---

[11] FATF (2015). Emerging Terrorist Financing Risks. ხელმისაწვდომია: https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/Emerging-Terrorist-Financing-Risks.pdf

[12] FATF (2021). Ethnically or Racially Motivated Terrorism Financing. ხელმისაწვდომია: https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/reports/Ethnically-or-racially-motivated-terrorism-financing.pdf

[13] ibid.

ფიგურა 4. Dark Foreigner-ის მერჩენდაიზი. წყარო: FATF

ფულის გათეთრება არაკომერციული ერთეულების დახმარებით ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის განმარტებით, არაკანონიერი საქმიანობა დღემდე რჩება ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების შემოსავლების მთავარ წყაროდ. აფრიკაში ბაზირებული ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორებიც არიან დაეშის დასავლეთ აფრიკული პროვინცია, ბოკო-ჰარამი და ალ კაიდა ისლამურ მაღრებში ხშირად ძარცვავენ ადგილობრივ სოფლებს.

საგულისხმოა არაკომერციული ერთეულების დახმარებით ფულის გათეთრების და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების დაფინანსება. ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის 2022 წლის რეგიონულ ანგარიშებში არაერთხელ ნახსენებია არაკომერციული ერთეული Christian Afrikaner, რომელიც სამხრეთ აფრიკული ულტრამემარჯვენე ეთნო- ნაციონალისტურ სეპარატისტულ დაჯგუფება „სამხრეთელებს (suidlanders)" ეხმარებოდა.[14]

[14] ibid.

კიბერტერორიზმის მზარდი საფრთხეების 2022 წელს

2020 წელს კიბერთავდასხმები ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეებიდან რიგით მე-5 საფრთხედ დასახელდა. სხვადასხვა მონაცემებით 2022 წლიდან 2025 წლამდე კიბერტერორისტული თავდასხმების რაოდენობა გაორმაგდება. ამასთანავე, Global Risk Report-ის თანახმად კიბერთავდასხმების იდენტიფიცირება და თავდამსხმელი ჯგუფების სამართლებრივ პასუხისმგებაში გადაცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში 0.05 პროცენტია.[15]

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ყველაზე ხშირად განხორციელებულ კიბერთავდასხმას წარმოადგენს მონაცემების მოპოვების მიზნით განხორციელებული თავდასხმები, რომელთა რიცხვიც 2022 წელს 600% არის გაზრდილი.

2025 წლისთვის კიბერტერორიზმისგან მიყენებული ზიანის სავარაუდო წლიური მოცულობის გაზრდას 10.5 ტრილიონამდე ვარაუდობენ (იხ. ფიგურა 5)

ფიგურა 5. კიბერტერორისტული თავდასხმის შედეგად მიყენებული ზარალი 2025 წლისთვის. წყარო: World Economic Forum

ამასთანავე, კიბერტერორისტული თავდასხმების 43% მცირე ბიზნესის წინააღმდეგ არის მიმართული. კიბერთავდასხმების რაოდენობის სიხშირეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 2016 წელს. ტერორისტული თავდასხმა ყოველ 40 წამს, 2022 წლის პირველ ნახევარში აღნიშნული მონაცემი 11 წამამადე შემცირდა (იხ. ფიგურა 6).

ფიგურა 6. კიბერტერორისტული თავდასხმების სიხშირე. წყარო: World Economic Forum



[15] World Economic Forum (2022). Global Risk Report. ხელმისაწვდომია: https://www.weforum.org/reports/global-risks-report-2022/

ევროკავშირის სამშვიდობო და კონტრტერორისტული ოპერაციების ფინანსირების წესის ცვლილება აფრიკაში

ევროკავშირმა 2021 წელს საერთო თავდაცვითი და უსაფრთხოების მისიების დაფინანსების წესი შეცვალა. აღნიშნულმა ცვლილებამ გავლენა იქონია აფრიკაში კერძოდ კი საჰელის და დიდი საჰარის ტერიტორიაზე კონტრ და ანტიტერორისტული სპეცოპერაციების ფინანსირებაზე.

გასულ წელს ევროკავშირმა ე.წ European Peace Facility წარადგინა, რომელიც ნაწილობრივ შეცვლის ე.წ African Pace Facility-ის და შეცვლის ევროკავშირის მიერ აფრიკის კონტინენტზე კონტრტერორისტული და ანტიტერორისტული ინიციატივების ფინანსირების 16-წლიან გამოცდილებას. EPF-ის წარდგენამდე ევროკავშირი CSDP ინიციატივებს საჰელის რეგიონში AFP-ის გავლით ახორციელებდა, რომელიც თავის მხრივ ერთგვარ მედიუმ აგენტს წარმოადგენდა. აფრიკის კავშირისთვის. აფრიკის კავშირი შემდგომში განკარგავდა აღნიშნულ ფინანსებს ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. EPF საშუალებას აძლევს ევროკავშირს გვერდი აუაროს აფრიკის კავშირს და მისი თანხების ალოკაცია პირდაპიი გზით მოხდეს საჰელის რეგიონში, როგორც რეგიონულ ისე ეროვნულ ინიციატივებზე. EPF ასევე საშუალებას აძლევს საჰელის რეგიონში არსებულ ქვეყნებს ადეკვატური შეიარაღებები შეიძინონ კონტრტერორისტული ინიციატივებისთვის.

ახალი ინიციატია ზრდის ევროკავშირის მოქნილობას თუმცა საჰელში არსებული ევროპული სამხედრო გამოცდილება და დღეს რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევებ, რაც მალისა და ბურკინა-ფასოში სამხედრო გადატრიალებებს და ტერორიზმთან დაკავშირებულ მწვავე ვითარებას გულისხმობს ჩადის ტბის აუზში, ნიგერიაში და ნიგერში საფუძლიან ეჭვებს აჩენს აღნიშნული ინციიატივებს მიმართ.[16]

[16] Parsadanishvili, B., Jojua, M. & Kandiashvili, M. (2022). THE S.W.O.T ANALYSIS OF THE EUROPEAN UNIONS' NEW PEACE AND SECURITY FUNDING POLICY IN AFRICA AND ITS POSSIBLE IMPACT ON THE TERRORISM SITUATION IN SAHEL. ხელმისაწვდომია: http://trc.gcsd.org.ge/en/publications

დაეშის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის 2022 წლის მინესტერიალი

მიმდინარე წლის 10-12 მაისს, მაროკოს ქალაქ მარაკეშში დაეშის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი გაიმართა. შეხვედრას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ილია დარჩიაშვილი ესწრებოდა. მინისტერიალზე კოალიციის წევრმა სახელმწიფოებმა საერთო კომუნიკე მიიღეს. ოფიციალური შეტყობინების ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 11 მაისს გაავრცელა:

[ტექსტი ადაპტირებულია ინგლისური ენიდან]

...

მაროკოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ნასერ ბოურიტას და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის, მოწვევით დაეშის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის წევრი სახელმწიფოების მინისტრები დღეს (11 მაისს) მაროკოს ქალაქ მარაკეშში შეიკრიბნენ.

მინისტრებმა მხარი დაუჭირეს კოალიციის პირველ შეხვედრას აფრიკის კონტინენტზე და განამტკიცეს მათი მზადყოფნა დაეშის დამარცხების მიზნით, განაგრძონ ბრძოლა ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ როგორც სამხედრო, ისე - სამოქალაქო ძალისხმევის დახმარებით. მინისტრებმა ერთხმად ცნეს სამოქალაქო პირების დაცვის პრიორიტეტულობის საკითხი და კიდევ ერთხელ დააფიქსირეს მათი მტკიცე პოზიცია, ნებისმიერ გარემოებაში პატივი სცენ როგორც საერთაშორისო სამართლის (მათ შორის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის) პრინციპებს, ასევე - გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ ნებისმიერ შესაბამისი რეზოლუციას.

მინისტრებმა ხელახლა დაადასტურეს, რომ დაეშის გარდაუვალი დამარცხება ერაყსა და სირიაში კოალიციის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს. მათი განმარტებით, მიუხედავად დაეშის ხელმძღვანელობის მიერ ბოლო წლებში განცდილი წარუმატებლობისა, ტერორისტული ორგანიზაცია აგრძელებს თავდასხმების განხორციელებას. სირიაში, ალ-სინაას წინასწარი დაკავების დაწესებულებაზე 2022 წლის იანვარში განხორციელებული ფართომასშტაბიანი თავდასხმა ორგანიზაციისაგან მომდინარე მზარდ საფრთხეებზე მიანიშნებს.

მინისტრებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი საკმარისი რესურსის ინვესტირების მნიშვნელობას კოალიციის და მისი პარტნიორი სამხედრო ერთეულების ძალისხმევის გამართულობაში. სამოქალაქო ძალისხმევა, რომელშიც პრევენცია, სტაბილიზაცია, ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრნარატივის შექმნა, უცხოელი

ტერორისტი მებრძოლების სამართლებრივ დევნა, მათი შემდგომ რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია მოიაზრება, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება დაეშზე გამარჯვების მოპოვების ფარგლებში. მინისტრებმა დააფიქსირეს მათი პოზიცია ერაყში სამოქალაქო კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაზრდის საჭიროების თაობაზე. მათ ასევე მიუთითეს ისეთი პრობლემის გადაჭრის გრძელვადიანი და მდგრადი გზების არსებობის აუცილებლობაზე, როგორიც - დაეშის მებრძოლების და მათი ოჯახის წევრების საკითხია ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში. აღნიშნული ასევე ითვალისწინებს დამნაშავე პირების სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემისთვის შესაბამისი იურიდიული პროცედურების განსაზღვრას.

კოალიცია მხარს უჭერს სირიელ ხალხს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუცია 2254-ში გაწერილი მშვიდობიანი პოლიტიკური დღის წესრიგის დამყარების პროცესში. კოალიცია აგრძელებს დაეშისგან განთავისუფლებული რეგიონების ინკლუზიური რეაბილიტაციას მხარდაჭერას და სირიაში ზემოთ ხსენებული რეზოლუციით გათვალისწინებული რეინტეგრაცია-შერიგების პროცესის ხელშეწყობას.

კოალიციის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხაზი გაუსვეს აფრიკის კონტინენტზე დაეშისგან მომავალი მზარდი საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას და გამოხატეს მათი მხარდაჭერა აფრიკის თემატური სამუშაო ჯგუფის სამ შეხვედრასთან დაკავშირებით - ბრიუსელში, რომსა და მარაკეშში. კოალიციის ეგიდით, აფრიკის თემატური სამუშაო ჯგუფი ერაყში, სირიასა და აფრიკის კონტინენტზე მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამოქალაქო კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაძლიერებას. პროცესში გათვალისწინებული ძალისხმევა გულისხმობს, სახელმწიფოებს შორის დაეშისა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისგან მომავალი საფრთხეების სიტუაციური შეფასებების პროაქტიულ გაზიარებას და თანამშრომლობას ისეთ საკითხებში როგორებიც არის - საზღვრებზე არსებული სიტუაციის მართვა, სტაბილიზაცია, პრევენცია და დერადიკალიზაციის პროგრამები. მინისტრებმა მიუთითეს აფრიკის თემატური სამუშაო ჯგუფის კონტრტერორისტული ძალისხმევის არსებულ საერთაშორისო, სუბრეგიონულ და რეგიონულ ინიციატივებთან თანხვედრის აუცილებლობაზე.

მინისტრებმა მიუთითეს აფრიკაში საფრთხის შემცველი სიტუაციის გამომწვევ ზემოხსენებული მიზეზების მნიშვნელობაზე, თუმცა ამასთანავე დასძინეს, რომ დაეშის გავლენის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი გრძელვადიანი მიდგომა მეტწილად იმ ეროვნული მთავრობების, სუბრეგიონულ და რეგიონულ ძალისხმევაზეა დამოკიდებული, რომლებიც ცნობენ კონტინენტზე არსებული კონფლიქტური სიტუაციის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მამოტივირებელ ფაქტორებს. მინისტრებმა გამოხატეს შეშფოთება აფრიკის კონტინენტზე არასახელმწიფოებრივი აქტორების (მათ შორის სეპარატისტულ მოძრაობების და კერძო სამხედრო-საკონტრაქტო კომპანიების) გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს აფრიკული სახელმწიფოების დესტაბილიზაციას, ზრდის მათ მოწყვლადობას დაეშის მიმართ და ხელს

უწყობს ამ უკანასკნელს. მინისტრებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს, რომ კოალიცია განაგრძობს იყოს მოქალაქეების ძალისხმევაზე ორიენტირებული საერთაშორისო ერთეული, რომლის პრინციპებიც თანხმობაშია სახელმწიფოთა ეროვნულ სუვერენიტეტთან და აფრიკული ქვეყნების სხვადასხვა სიტუაციურ საჭიროებებთან. მინისტრები მიესალმნენ ბენინის გაწევრიანებას კოალიციაში - რამაც წევრთა რაოდენობა 85-მდე გაზარდა. კოალიციის ძალისხმევა თანხმობაშია ერთიანი გლობალური კონტრტერორისტული ძალისხმევის არქიტექტურასთან.

სამიტზე დამსწრე პირებმა ერთხმად დააფიქსირეს კოალიციის ხედვა, რომ დაეშის ხორასნის პროვინცია წარმოადგენს მზარდ საფრთხეს სამხრეთ და ცენტრალური აზიის რეგიონში არსებული სახელმწიფოებისთვის. მინისტრებმა მკაცრად დაგმეს დაეშის ხორასნის პროვინციის მიერ რამადანის და ეიდ ალ ფითრის დღესასწაულების დროს ავღანეთში სამოქალაქო პირების (განსაკუთრებით კი უმცირესობების წარმომადგენლების) წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები. მინისტრები აცნობიერებენ პრინციპული მხარდამჭერი პოზიციის შენარჩუნების მნიშვნელობას ავღანეთში დაეშის ხორასნის პროვინციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, კოალიციის სამუშაო ჯგუფების და წევრი სახელმწიფოების ინდივიდუალური ინიციატივების მიმართ, რაც იძლევა დაეშის როგორც სამხრეთ და ცენტრალურ აზიაში, ისე - მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დამარცხების გარანტიას.

მინისტრებმა ხაზი გაუსვეს დაეშისგან მომავალი საერთაშორისო საფრთხეებთან გამკლავების ფარგლებში ძალისხმევის ჰოლისტური ხასიათის და ყოვლისმომცველი კოორდინაციის მნიშვნელობას, რაც კოალიციის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს. აღნიშნული ძალისხმევა გულისხმობს კოალიციის წევრი სახელმწიფოების მიერ ისეთი მიმართულებით არსებული ინიციატივების მხარდაჭერას, როგორებიც არის - კომუნიკაცია, დაეშის ფინანსირების წინააღმდეგ ბრძოლა, უცხოელ ტერორისტ მებრძოლებთან დაკავშირებული საკითხები და სტაბილიზაცია.

მინისტრებმა ცნეს ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმისთვის ხელსაყრელი გამომწვევი ფაქტორების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, პრობლემის გადაჭრის მდგრადი გზების აღმოჩენის მიზნით, როგორც ქალების, ბავშვების და დაჩაგრული ჯგუფების, ასევე - მათთან მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობაზე მეტი აქცენტის გაკეთების აუცილებლობა.

კოალიციის წევრმა სახელმწიფოებმა სხვადასხვა ფორმით არაერთხელ დააფიქსირეს მათი ერთიანი, მტკიცე მხარდაჭერა როგორც დაეშის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მსხვერპლის და გადარჩენილების, ასევე დაზარალებულთა ოჯახების წევრების მიმართ, მათ შორის - ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერების და მათი მებრძოლების სამართლებრივ პასუხისგებაში გადაცემის გზით. მინისტრები ცნობენ ფაქტს, რომ დაეშის მიერ ჩადენილი არაერთი ქმედება, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობა, საერთაშორისო სამართალდარღვევის უმწვავეს გამოვლინებას წარმოადგენს.

მინისტრები ინარჩუნებენ ერთიან სიმტკიცეს მომავალი თაობებისთვის დაეშისგან მომავალი საფრთხეების პრევენციის მიზნით. შესაბამისად, ისინი გამოხატავენ მათ მზაობას შეინარჩუნონ აბსოლუტური სიფხიზლე არამხოლოდ დაეშის, არამედ ზოგადად ტერორიზმისგან ყველა ფორმით მომავალი საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში.

დასკვნა

ტერორიზმის კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილი წინამდებარე ანგარიშის თანახმად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში (1-ლი იანვრიდან 15 ივნისის ჩათვლით) ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის თვალსაზრისით ყველაზე თვალსაჩინო რეგიონებს აზია, ახლო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკა წარმოადგენდნენ.

წინამდებარე დოკუმენტში საუბარია ჩადის ტბის და საჰელის რეგიონებში ისეთი ტერორისტული ორგანიზაციების აქტივობაზე, როგორებიც არიან დაეშის დასავლეთ აფრიკული პროვინცია, ბოკო-ჰარამი და ალ-ქაიდა ისლამურ მაღრებში.

ნახევარწლიური ანგარიში ასევე ამახვილებს ყურადღებას 2022 წელს მიმდინარე კონფლიქტების დინამიკაზე. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილ სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემზე დაყრდნობით პოლიტიკურ კონფლიქტებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ზონებში ტერორიზმის კუთხით არსებულ ვითარებაზე.

ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნული ანგარიშში განსაზღვრულია ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსირების ყველაზე პოპულარული გზები 2022 წელს, რომლიდანაც აღსანიშნია ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ფულის გათეთრება არაკომერციული ერთეულების დახმარებით და შემოწირულობის სისტემების გამოყენება ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ.

აღნიშნული ანგარიში ხაზს უსვამს კიბერტერორისტული თავდასხმების მნიშვნელობას და აღნიშნულ საფრთხეს კიდევ უფრო მწვავედ სახავს 2025 წლისთვის.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლის ფარგლებში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებად აღნიშნულ ანგარიშში დასახელებულია ევროკავშირის მიერ სამშვიდობო და კონტრტერორისტული ოპერაციების ფინანსირების შეცვლა აფრიკაში და დაეშის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის 2022 წლის მინისტერიალი.